ოქმი:**ო31. 3126181001**
თარიღი:**30/06/2026**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N8

ქ. ლანჩხუთი

25. 06. 2026 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილები მაია ღომთაძე და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქციის ,,ხალხის ძალა“ თავმჯდომარე დარეჯან ბურჭულაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე, მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ალეკო კირვალიძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ბიუროს მიერ სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა ორი საკითხი და მიმართა საკრებულოს წევრებს, აღნიშნული საკითხები დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.

მომხრე საკრებულოს 29 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

2. ქალაქ ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125^4 პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 თებერვლის N6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

5. „საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 125^4 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

6. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის და ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულებში კურორტ გრიგოლეთისა და ს. წყალწმინდის უბან ყვავილნარის ქალაქმშენებლობითი გეგმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე”ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ალეკო კირვალიძე/

7. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.

მომხრე საკრებულოს 29 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა, **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილების 1-ლი მუხლის ,,ა“ პუნქტით დამტკიცებულ N1-ლ დანართში ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესში“ უნდა შევიდეს ცვლილება და დანართის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 209^3, 51^3, 53^3, 55-ე, 55^3, 127^1 მუხლის მე-5 ნაწილით, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ 31-ე–35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-80 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებს განიხილავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური, გარდა საქართველოს კანონის „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 125^4 პუნქტის, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და 239-ე მუხლის 14^1 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.

მომხრე საკრებულოს 29 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა დადგენილება N13 (25.06.2026).

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ქალაქ ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125^4 პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა, **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2026 წლის 18 მაისის N GOV 9 26 00016017 საკონსულტაციო დასკვნაში მითითებულია შენიშვნები აღნიშნულის

გათვალისწინებით სამსახურის მიერ მომზადდა ფოტოები რომლებზეც მითითებულია მიწის ნაკვეთის ფართობები რომლებიც უნდა განისაზღვროს საპარკინგე ადგილებად ასევე შპს იმერეთის მიმდებარედ მუნიციპალურ საკუთრებად დარეგიტრირდა მიწის

ნაკვეთი ს/კ 27.06.51.423. ასევე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში განხილულ იქნა ზემოაღნიშნული დოკუმენტის ფორმის ნიმუში და მის ენობრივ სისწორესთან დაკავშირებით შენიშვნები არ გააჩნიათ.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.

მომხრე საკრებულოს 29 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა დადგენილება N14 (25.06.2026).

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ.** მან განმარტა, რომ „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის N102 განკარგულებაში, საქართველოს მთავრობის 2026 წლის 5 მარტის N481 განკარგულებით შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტს გამოეყო 6051160 (ექვსი მილიონ ორმოცდათერთმეტი ათას ას სამოცი) ლარი, განსახორციელებელი პროექტების მთლიანი ღირებულება (მიმდინარე წელს დასაფინანსებელი) 6369645 (ექვსი მილიონ სამას სამოცდაცხრა ათას ექვსას ორმოცდახუთი) ლარია, მათ შორის:

-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჩიბათის, ქალაქისა და გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა გზების რეაბილიტაცია-1868350 ლარი, აქედან სახლემწიფო ბიუჯეტით დაფინანსება -1774332 ლარი.

-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა გზის რეაბილიტაცია, შუხუთის და ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულებში სანიაღვრე არხების მოწყობა-2105264 ლარი, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსება-2000 000 ლარი.

-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის, ჩოჩხათის და ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა გზების რეაბილიტაცია-2105264 ლარი, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსება- 2 000 000 ლარი.

-ქალაქ ლანჩხუთში სპორტული დარბაზის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა-290767 ლარი, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსება-276228 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 19 მარტის N580 განკარგულებით მუნიციპალიტეტს გამოეყო 2250000 (ორი მილიონ ორას ორმოცდაათი ათასი) ლარი, 2025 წლის თებერვლის თვეში განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის (საკუთრებაში რეგისტრირებული საცხოვრებელი სახლები, რომლებიც სოფლად დაინგრა ან არ ექვემდებარება აღდგენას) კომპესაციის გაცემის მიზნით.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 24 აპრილის N826 განკარგულებაში, საქართველოს მთავრობის 2026 წლის 9 ივნისის N1241 განკარგულებით შესული ცვლილების საფუძველზე მუნიციპალიტეტს გამოეყო 385403 ლარი 2025 წლის თებერვლის თვეში მუნიციპალიტეტში განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის (დაზიანებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები) კომპესაციის გაცემის მიზნით.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 27 მარტის N620 განკარგულებით მუნიციპალიტეტს გამოეყო 20000 (ოცი ათასი) ლარი მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით და მიიმართება რისკის-ქვეშ მყოფი ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამის დასაფინანსებლად, ხოლო აღნიშნული

ბიუჯეტიდან მიმართული 20000 (ოცი ათასი) ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს „მრავალშვილიანი ოჯახების და მესამე და მომდევნო ახალშობილზე, დახმარების პროგრამის დაფინანსება 20000 (ოცი ათასი) ლარით.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანალიზის გათვალისწინებით 12000 (თორმეტი ათასი) ლარით გაიზარდოს „შშმ პირთა დახმარების პროგრამა“. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა განხორციელდეს საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაციის არაფინანსური აქტივების მუხლის ზრდის დაფინანსების 12000 ლარით შემცირების ხარჯზე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 27 მარტის N617 განკარგულებით მუნიციპალიტეტს მიეცა უფლება „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის (N136 2018 წლის 18 იანვარი, N2577 2018 წლის 31 დეკემბერი, N2630 2019 წლის 18 დეკემბერი, N574 2020 წლის 19 მარტი, N75 2022 წლის 17 იანვარი) განკარგულებების საფუძველზე გამოყოფილი თანხებიდან დარჩენილი ნაშთიდან სულ ჯამში 320348 (სამას ოცი ათას სამას ორმოცდარვა) ლარი მიიმართოს;

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ქალაქ ლანჩხუთში ჭავჭავაძის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები 220348 (ორას ოცი ათას სამას ორმოცდარვა) ლარი.

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, მაჩხვარეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ორაგვეში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა 100322 (ასი ათას სამას ოცდაორი) ლარი.

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 აპრილის N762 განკარგულებით მუნიციპალიტეტს მიეცა უფლება „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგარმის ფარგლებში, მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის (2019 წლის 22 იანვარი N45, 2019 წლის 31 დეკემბერი N2752, 2021 წლის 29 დეკემბერი N2476, 2023 წლის 28 დეკემბერი N2401, 2025 წლის 16 იანვრის N53 განკარგულებების საფუძველზე გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი ნაშთიდან სულ ჯამში 115021 (ას თხუთმეტი ათას ოცდაერთი) ლარი მიიმართოს 2026 წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში საავტომობილო გზების რეაბილიტაციის მიზნით ბეტონის საფარის მოწყობაზე.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის N2260/2 განკარგულებით საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გამოიყო 392594 (სამას ოთხმოცდათორმეტი ათას ხუთას ოთხმოცდათოთხმეტი) ლარი.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 10 ივლისის N1106 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთი 37317 (ოცდაჩვიდმეტი ათას სამას ჩვიდმეტი) ლარი მიიმართოს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ექსპლოატაცია-რეაბილიტაციის სხვა ხარჯების მუხლში. შემოსული წერილების ანალიზის საფუძველზე მიზანშეწონილია, კერძოდ:

ააიპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის დასუფთავება ნარჩენების გატანის პროგრამის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის 120000 (ას ოცი ათასი) ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლი 120000 (ას ოცი ათასი) ლარით.

ააიპ სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების საქონელი და მომსახურების მუხლის 1000 (ათასი) ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სხვა ხარჯების მუხლი 1000 (ათასი) ლარით.

ააიპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების საქონელი და მომსახურების მუხლის დაფინანსების 3235 (სამი ათას ორას ოცდათხუთმეტი) ლარით შემცირების ხარჯზე

გაიზარდოს სოციალური უზრუნველყოფის მუხლის დაფინანსება 3235 (სამი ათას ორას ოცდათხუთმეტი) ლარით.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 20 მარტის N583 განკარგულებით პატრიარქის დაკრძალვასთან დაკავშირებით წამსვლელთა ტრანსპორტირების ხარჯის დასაფინანსებლად გამოიყო 30000 (ოცდაათი ათასი) ლარი.

შპს ქალთა საფეხბურთო კლუბი ლანჩხუთის „ლანჩხუთი“ მიმდინარე წლის 11 ივნისის N10/302016250-30 წერილის განხილვის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2026 წლის 12 ივნისის N04-31/42610 თანხმობის წერილის თანახმად შპს ქალთა საფეხბურთო კლუბი ლანჩხუთის „ლანჩხუთ“-ს მიეცეს მოკლევადიანი კრედიტი 130000 (ას ოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით, კრედიტის დაფარვის ვადად განისაზღვროს 2026 წლის 20 ნოემბერი. მოკლევადიანი კრედიტის უზრუნველყოფის მიზნით შემცირდეს 130000 (ას ოცდაათი ათასი) ლარით საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაციის დაფინანსების არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.

მომხრე საკრებულოს 29 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა დადგენილება N15 (25.06.2026).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 თებერვლის N6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა.** მან განმარტა, რომ საკრებულოს განკარგულების ცვლილების პროექტი, მომზადდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, სადაც მიზანშეწონილად არის მიჩნეული, რომ საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხიდან და გეგმიდან ამოღებულ იქნას, მერიის აუქციონატორის მიერ, პრივატიზირებული უძრავი ქონება კერძოდ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ შრომისუბანში მდებარე 228 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული 202,07 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.13.45.271) ასევე მიზანშეწონილია, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2026 წლის 18 მარტის N5001633126 წერილის თანახმად, დასკვნით შეფასებული - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ აცანაში მდებარე 27.02.41.163 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული 1240 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული 802,60 კვ.მ. მხოლოდ შენობა-ნაგებობა (საწყის საპრივატიზებო საფასური - 108351 ლარი.) შემგომში განკარგვის მიზნით, აისახოს მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და გეგმაში.

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას და გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.

მომხრე საკრებულოს 29 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N24 (25.06.2026).

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 125[4] მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა, **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ

მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მიერ ინიცირებულია ,,ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების, საფასურისა და პარკირების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომლითაც ასევე მტკიცდება „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 1254 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია საკრებულომ ასევე დაამტკიცოს ხსენებული ოქმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი. ვინაიდან დადგენილების მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, წარმოდგენილი აქვთ შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.

მომხრე საკრებულოს 29 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N25 (25.06.2026).

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის და ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულებში კურორტ გრიგოლეთისა და ს. წყალწმინდის უბან ყვავილნარის ქალაქმშენებლობითი გეგმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე”ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **ალეკო კირვალიძემ.** მან განმარტა, რომ ზემოაღნიშნული დადგენილების ცვლილება განპირობებულია შემდეგი გარემოების გამო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილების მე-19 მუხლის საფუძველზე, 2023 წლის 25 იანვრის N2 დადგენილებით დაამტკიცა მერიასა და კონკურსში გამარჯვებულ ა(ა)იპ „საქართველოს სივრცითი განვითარების მართვის ინსტიტუტს“ (შემდგომ –ინსტიტუტი) შორის 2020 წლის 19 მაისს გაფორმებული N93 ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული კურორტ გრიგოლეთისა და ს.წყალწმინდის უბან ყვავილნარის განაშენიანების გეგმა და მისი თანმდევი ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაცია. განაშენიანების გეგმის, კერძოდ განაშენიანების მართვის რეგლამენტის ტექსტურ ნაწილში დაფიქსირდა ტექნიკური შეცდომა -

დადგენილების 1-ლი მუხლით დამტკიცებული დანართების ჩამონათვალიდან ნორმატიული - აქტი -2-ის (1295047656) მესამე პარაგრაფის ,,განაშენიანების პარამეტრების“ მეორე პუნქტის ,,ა.ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი უნდა იყოს რომ 300 კვ.მ. ნაკლები ან ტოლი ფართობის მიწის ნაკვეთისთვის-კ1=0,4 კ3=0,5, ნაცვლად დადგენილი ჩანაწერისა რომ 250 კვ.მ. ნაკლები ან ტოლი ფართობის მიწის ნაკვეთისთვის-კ1=0,4 კ3=0,5. აღნიშნული ხარვეზის შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ წერილობით აცნობა დამგეგმარებელ კომპანიას - ა(ა)იპ საქართველოს სივრცითი განვითარების მართვის ინსტიტუტს და თხოვა ტექნიკური შეცდომის გასწორება. კომპანიის მიერ მოხდა გეგმის მომზადების პროცესში ტექნიკური პრობლემის დადასტურება, მოახდინა უზუსტობის აღმოფხვრა და წარმოგვიდგინა განაშენიანების გეგმის შესწორებული ვერსია, როგორც მატერიალური ისე ელექტრონული ფორმატით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია საკრებულომ განიხილოს და მიიღოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული შესაბამისი ნორმატიული აქტის ცვლილების პროექტი, ვინაიდან ნორმატიული აქტის მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტიც.

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების და ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.

მომხრე საკრებულოს 29 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N26 (25.06.2026).

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **კარლო კვიტაიშვილმა** ლანჩხუთის პირველი საჯარო სკოლის ვაჟების გუნდს მიულოცა მინი ფეხბურთში სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2026-ის ჩემპიონობა და წარმატებები უსურვა მათ, რასაც შეუერთდნენ საკრებულოს დანარჩენი წევრებიც. ამის შემდეგ, მან აღნიშნა, რომ მიუხედავად მრავალგზის გაფრთხილებისა, ლანჩხუთის ცენტრში, ღამით კვლავ დგებიან სატვირთო, მისაბმელიანი მანქანები. ასევე, დაინტერესდა, რა ეტაპზეა აგარაკის საცხოვრებელი კორპუსის და ქალაქის ცენტრში დაზიანებული ქვაფენილის რეაბილიტაციის საკითხი.

საკრებულოს წევრი, **ჯუმბერ ბლაგიძე** დაინტერესდა შემდეგი საკითხებით:

რა ეტაპზეა იანვრის თვეში, სოფელ ხიდმაღალას მოსახლეობის მიერ კოლექტიური განცხადებით დაყენებული საკითხი, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: ცენტრალური გზის დაგების შემდეგ საკარმიდამო ნაკვეთები ამ გზასთან შედარებით 70-80 სმ-ით ქვემოთ აღმოჩნდა და უხვი ნალექის დროს იტბორება როგორც ეზოები, ასევე საცხოვრებელი სახლების პირველი სართული. მოსახლეობა ითხოვს დახმარებას.

სოფელ ტაბანათში, დაწყებითი სკოლის მიმდებარედ მდებარეობს კომპანია ჰაიდელბერგი. აქედან მომავალი ცემენტით დატვირთული მანქანებიდან ჰაერში იფანტება ცემენტი, აბინძურებს ჰაერს და მიმდებარე ტერიტორიას. მოსახლეობის თხოვნაა, ამ გზეზე დაიგოს ასფალტის საფარი, რომ შესაძლებელი იყოს პერიოდულად ნარჩენების გადარეცხვა.

სოფელ ხიდმაღალას სასაფლაოდან გამომავალ სანიაღვრე არხებზე გასულ წელს მოეწყო გაბიონები, რომლებიც უკვე დაზიანებულია და თან დასასრულებელიც.

დაბა გრიგოლეთში მოსაწყობია საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელები და რეაბილიტაციას საჭიროებს გარე განათება.

მოსაწესრიგებელია სუფსის ავტობანთან დამაკავშირებელი გზა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** აღნიშნა, რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ უფლება მისცა მუნიციპალიტეტს სოფლის პროგრამებზე არსებული ნაშთი გამოიყენონ გზების რეაბილიტაციაზე. ის დაინტერესდა, შესაძლებელია თუ არა ამ ნაშთიდან მორჩენილი თანხა გამოიყენონ სოფელ ნიგოითში სკვერის მშენებლობის დასასრულებლად.

საკრებულოს ფრაქციის ,,ხალხის ძალა“ თავმჯდომარე **დარეჯან ბურჭულაძე** დაინტერესდა, ხომ არ არის წინსვლა გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ მუსხელიშვილის და კუპრეიშვილის ქუჩებზე დაზიანებული ასფალტის საფარის მოწესრიგების კუთხით.

საკრებულოს წევრმა, **ელისო ჭიჭინაძემ** აღნიშნა, რომ ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში, ავტობანის მშენებლობის გამო რამდენიმე ოჯახს შეექმნა პრობლემა საყანე ფართობებთან დაკავშირებით. ოთხი წლის მანძილზე, საგზაო დეპარტამენტთან მუნიციპალიტეტის მერის თანადგომით მოხერხდა ხელშეკრულების დადება ორი წლის კომპენსაციის გაცემასა და საყანე ფართობების და მასთან მისასვლელი გზის მოწესრიგების თაობაზე. კომპენსაციების გაცემა დაწყებულია, მაგრამ საყანე ფართობების და მასთან მისასვლელი გზის მოწესრიგების თაობაზე არაფერი ისმის. უხვი ნალექის დროს ეს ფართობი იფარება წყლით, რადგან აღმოჩნდა, რომ მდინარის კალაპოტი ფართობებზე მაღლაა და სანიაღვრე არხი წყალს ვერ ატარებს. მოსახლეობა ხელისუფლებიდან ითხოვს დახმარებას.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ ანალოგიური მდგომარეობაა ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულშიც. წყალდიდობის დროს, სანიაღვრე არხების მეშვეობით, მდინარეებიდან წყალი უკან ბრუნდება. მან ასევე აღნიშნა, რომ მოსაწესრიგებელია საყანე ფართობებთან მისასვლელი გზები.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, **ალექსანდრე მახათაძე** დაინტერესდა, რა ეტაპზეა ნიგვზიანის და ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში გაზმომარაგების საკითხი.

საკრებულოს წევრმა, **გოჩა ჯანაშიამ** რამდენიმე კითხვით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს. კერძოდ:

როდის მოგვარდება ნიგოითის თემში ავტობანთან დამაკავშირებელი გზის მოწყობა;

როდის მოგვარდება ლანჩხუთში, ქალაქის ცენტრში, ყოფილი აფთიაქის კორპუსის უკან მხარეს, მიშენების რეაბილიტაციის საკითხი;

როდის დაიწყება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ოზურგეთთან დამაკავშირებელი გზის რებილიტაცია;

როდის იქნება შესაძლებელი სოფელ ქვიანში, სასაფლაოსთან მისასვლელი უკვე გაკეთებული გზის, დარჩენილი 70 მეტრი სიგრძის მონაკვეთის დასრულება.

ხომ არ იქნება შესაძლებელი ლანჩხუთის ,,გურიას“ ახალი სტადიონი გაკეთდეს ძველი სტადიონის მიმდებარე თავისუფალ მიწის ნაკვეთზე, რადგან მშენებლობის პერიოდში თამაშები ჩატარდეს ისევ ლანჩხუთში, ძველ სტადიონზე და გულშემატკივარმა შეძლოს თამაშებზე დასწრება.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილემ, **კარლო წილოსანმა** აღნიშნა, რომ ძალიან ამორტიზებულია მაჩხვარეთის ცენტრალური გზა. ასევე, მოსაგვარებელია სასმელი წყლის პრობლემა აგარაკის და მაჩხვარეთის უბნებში. საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილის თხოვნაა, შეძლებისდაგვარად დროულად მოხდეს აღნიშნული საკითხების მოგვარება.

საკრებულოს წევრმა, **ვარლამ ჩხარტიშვილმა** აღნიშნა, რომ სოფლის პროგრამის ფარგლებში, ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულში, სხვადასხვა ლოკაციაზე უნდა

დაიგოს ბეტონის საფარი. იმის გამო, რომ გზის საფარი მაღალია და არ არის გათვალისწინებული გადასასვლელები, მოსახლეობას შეექმნება ეზოებში შესვლის პრობლემა.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** გააკეთა შემდეგი სახის განმარტებები:

სატვირთო, მისაბმელიანი მანქანების პარკირების თემა გარკვეული პერიოდი მოწესრიგებული იყო, რადგან ფაქტი ისევ მეორდება, შეეცდება თავიდან მოაგვაროს ეს პრობლემა.

ქალაქის ცენტრში დაზიანებული ქვაფენილის რეაბილიტაციის საკითხის მოსაგვარებლად საჭიროა შესაბამისი სამსახურების ჩართვა.

კორპუსის საძირკველის გამაგრება საკმაოდ ძვირადღირებული პროექტია, რომლის განხორციელებაც შესაძლებელი იქნება მხოლოდ თანადაფინანსებით, როგორც ეს კეთდება სხვა ქალაქებში. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში იყო მხოლოდ ერთი შემთხვევა, როცა მოხდა გორგასლის ქუჩაზე მდებარე კორპუსის საძირკველის რეაბილიტაცია, რომელმაც შეადგინა დაახლოებით 700000 ლარი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეაბილიტაციას საჭიროებს კუპრეიშვილის და კვირკველიას ქუჩაზე მდებარე კორპუსები, ასევე მერიის წინ მდებარე ორი კორპუსი, რომლებზეც ოთხჯერ გამოცხადდა ტენდერი და ოთხივეჯერ ჩავარდა. იყო საუბრები ახალი კორპუსის აშენებაზეც, ინვესტორის მოძიებაზეც, მიუხედავად ყველაფრისა, სამუშაოები ამ კუთხით ახლაც გრძელდება, მაგრამ ჯერ- ჯერობით წინსვლა არ არის.

სოფელ ხიდმაღალაში საკარმიდამო ნაკვეთების დატბორვის საკითხთან დაკავშირებით იყო საუბარი საგზაო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან, მაგრამ სამუშაოების დაწყება ამ ეტაპზე შეუძლებელია, რადგან ავტობანზე მიმდინარე სამუშაოების გამო, მთელი დატვირთვა გადმოსულია ცენტრალურ გზაზე და საჭირო ტექნიკის ჩაყენება გამოიწვევს მოძრაობის პარალიზებას, ამიტომ ეს სამუშაოები დაიწყება ავტობანის გახსნისთანავე.

აუცილებლად გაარკვევენ და ჩართავენ შესაბამის სამსახურებს კომპანია ჰაიდელბერგთან დაკავშირებული პრობლემის მოსაგვარებლად.

სოფელ ხიდმაღალას სასაფლაოდან გამომავალი სანიაღვრე არხის გაწმენდა მოხდება მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ, ხოლო სადაც არ არის გაბიონები, იქ ადგილობრივი ძალებით შესაძლებელია მხოლოდ ღია არხების ამოღება.

დაბა გრიგოლეთში აუცილებლად მოწესრიგდება გარე განათება.

სუფსის ავტობანთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის საკითხთან დაკავშირებით მაჟორიტარმა დეპუტატმა, ია მოქიამ შეაგროვა მოსახლეობის ხელწერები და გააგზავნა საგზაო დეპარტამენტში, საიდანაც ჩამოვიდნენ წარმომადგენლები და ჰქონდათ შეხვედრა სოფლის წარმომადგენელთან და მოსახლეობასთან ერთად, დაათვალიერეს ტერიტორია, მაგრამ ჯერ- ჯერობით პასუხი არ არის.

ცენტრალურმა ხელისუფლებამ განკარგულებით უფლება მისცა მუნიციპალიტეტს სოფლის პროგრამებზე არსებული ნაშთი გამოიყენონ მხოლოდ საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე და ბეტონის შესაძენად. სხვა მიმართულებით ამ თანხას ვერ გამოიყენებენ და ნაშთის არსებობის შემთხვევაში თანხა უკან დაბრუნდება.

გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან არსებული პრობლემების გამო, თითქმის ყოველდღიურად აქვს კომუნიკაცია ქალაქის დეპუტატს, ამ საკითხში შესაძლებლობის ფარგლებში ერთვება სახელმწიფო სტრუქტურები და თავადაც. ამ ეტაპზე მიღწეულია შეთანხმება, რომ კვირკველიას და თავისუფლების ქუჩების სრულ რეაბილიტაციას მოახდენს ადგილობრივი ხელისუფლება, ხოლო დანარჩენ ქუჩებს ეტაპობრივად მოაწესრიგებს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია. მათ პირობა დადეს, რომ შემდეგ კვირაში დაიწყებენ გზების ორმოვან შეკეთებას, ხოლო შემდეგ მოხდება ასფალტის საფარის დაგება.

რადგან ანალოგიური მდგომარეობაა რამოდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში,

სასურველია ამ საკითხზე ორგანიზებულად გააკეთონ წერილობითი მომართვა, რომელსაც განიხილავენ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან და მელიორაციის სამსახურთან ერთად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის რამოდენიმე სოფლის, მათ შორის ნიგვზიანის და ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში, გაზმომარაგების საკითხის მოგვარებას გადაიბარებს კომპანია სოკარი, მაგრამ ჯერ- ჯერობით ჩამოსაყალიბებელია, რა პირობებით მოხდება გადაბარება, რის გამოც ეს პროცესი დროში გაიწელა.

ლანჩხუთში, ყოფილი აფთიაქის კორპუსის უკან მხარეს, მიშენების რეაბილიტაციის საკითხზე გამოხცადებული იყო ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია, მუნიციპალიტეტმა გამოყო თანხა, მაგრამ კორპუსის მაცხოვრებლებთან ვერ მოხერხდა შეთანხმება იმაზე, რომ ჯერ მომხდარიყო მიშენების დემონტაჟი და შემდეგ მიეშენებინათ ახალი, რის დამადასტურებელი ხელწერილებიც არსებობს. მიმდინარე წელს, ერთი თვის უკან, მერიას კვლავ მომართა აღნიშნული ბინის მაცხოვრებელმა და განაცხადა, რომ მის გამო თქვა მოსახლეობამ უარი სამშენებლო კომპანიის მიერ შემოთავაზებულ პირობებზე და იქნებ სამომავლოდ მოხდეს გათვალისწინება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ოზურგეთთან დამაკავშირებელი გზის რებილიტაციის სამუშაოები აქტიურ ფაზაშია, მისული არიან ნინოშვილი- გულიანის საზღვართან, გზა ბოლომდე მოწესრიგებული არ არის, მაგრამ გადაადგილება შესაძლებელია.

ლანჩხუთის ,,გურიას“ ახალი სტადიონის მშენებლობის საკითხი განხილული იქნა საკრებულოში და ყველამ იცოდა, რომ იგი აშენდებოდა ძველი სტადიონის ადგილზე. ჯერ იყო მსჯელობა 2000/2800 ადგილიან სტადიონზე, შემდეგ 4000 ადგილიანზე, შემდეგ მიაღწიეს შეთანხმებას 6000 ადგილიანზე, საბოლოო ჯამში, მუნიციპალური განვითარების ფონდთან მიღწეული იქნა შეთანხმება 6500 ადგილიან სტადიონზე, მაგრამ არასოდეს არ ყოფილა საუბარი ლოკაციის შეცვლაზე. არ არის სასიამოვნო ფაქტი ახლა ამ თემის წამოჭრა, მაგრამ თუ იქნება უმრავლესობის სურვილი, შესაძლებელია ამაზე მსჯელობაც, ოღონდ წააწყდებიან კიდევ ერთ პრობლემას- სტადიონების მოვლა -პატრონობასა და შენახვაზე გამოსაყოფ თანხებთან დაკავშირებით. ამიტომ ეს საკითხი, მუნიციპალიტეტის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, არ იქნება მარტივად მოსაგვარებელი, თუმცა არ არის მსჯელობის და განხილვის წინააღმდეგი.

მაჩხვარეთის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია მიებმება კუპრეიშვილის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

აგარაკის და მაჩხვარეთის უბნებში წყალმომარაგების საკითხი დაექვემდებარება გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას, რომელიც ამ ეტაპზე აწარმოებს სამუშაოებს სასმელი წყლის სისტემის მოსაწყობად.

ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბეტონის საფარის დაგების საკითხთან დაკავშირებით, დეტალების მოგვარება შესაძლებელი იქნება შემსრულებელ კომპანიასთან, სამუშაოების დაწყებამდე.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთა
დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

25 ივნისი 2026 წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	11 55	
2	ვერიკო კვირკველია	11 59	
3	მაია ლომთაძე	11 58	
4	გიორგი ჩახვაძე	11 45	
5	გიორგი ხელაძე	11 32	
6	ალექსანდრე მახათაძე	11 45	
7	ზაზა წულაძე	11 50	
8	კარლო კვიტაიშვილი	11 50	
9	გიორგი იმნაიშვილი	11 51	
10	ია მოქია	11:55	
11	დარეჯან ბურჭულაძე	11 55	
12	ლოლიტა ურუშაძე	ჯვეტოლილ	
13	ვლადიმერ ნანაძე	11 45	
14	კარლო წილოსანი	11 56	
15	ნინო მშვიდობაძე	11.56	
16	ივანე ებრალიძე		
17	ირაკლი ცინცაძე	11 50	
18	სპარტაკ კვაჭაძე	11-58	
19	თენგიზ ხუხუნაიშვილი	11:36	
20	გოგი მორჩილაძე	11 50	
21	ელისო ჭიჭინაძე	11	
22	რევაზ კვერენჩხილაძე	11 55	
23	ირაკლი ტოროტაძე	11.37	

24	ტატო ურუშაძე	11:45	
25	გელა პატეიშვილი	11:55	
26	თენგიზ ურუშაძე	11:50	
27	ვარლამ ჩხარტიშვილი	11:55	
28	ბესიკი კვაჭანტირაძე	11:50	
29	სამსონ კვაჭაძე	11:45	
30	გოჩა ჯანაშია	11:50	
31	თორნიკე მითაიშვილი	11:40	
32	ჯუმბერ ბლაგიძე	11:40	